# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 147

„30" ივნისი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუსგანგისთვის" (ს/კ: 405147498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აუსგანგისთვის" (ს/კ: 405147498) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ივნისის №20.647.814 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტაბიძის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.074.018) პირდაპირი განკარგვის წესით წესით შპს „აუსგანგისთვის" (ს/კ: 405147498) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 900 (ორი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე